*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები**<br>თავმჯდომარე:  ნაზო წიბლიაშვილი<br>წევრები:  მარინა გოგოლაძე<br>ქეთევან ღვანიძე<br>მარინე გვრიტიშვილი<br>ხათუნა მაისაია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

*დანართი №2*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **206156817**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

*დანართი №2*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ.შ. 2019 წლის 11 სექტემბრის N809 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი, ჯგუფის წევრები მარინა გოგოლაძე, მარინე გვრიტიშვილი, ხათუნა მაისაია და ქეთევან ღვანიძე) 2019 წლის 19 და 20 სექტემბერს განახორციელა ვიზიტი შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯში იმედი.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ინფორმაციის ტექნოლოგის“, „ბუღალტრული აღრიცხვის“, „საოფისე საქმის“, „საექთნო საქმის“ და „აღმზრდელის“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე, დღის წესრიგის შედგენის მიზნით, მოხდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია და დღის წესრიგის შეჯერება.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1).

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა 2018 წლის 8, 9 და 10 თებერვალს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

რეკომენდაცია:

1. ,,შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივი კოლეჯში იმედის შიდა პროცესების ხარისხის გაძლიერების მიმართულებით, სასურველია ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობაზე პირის აყვანა, რაც ექსპერტების აზრით, დადებითად აისახება დაწესებულების მენეჯმენტისა და ხარისხის კომპონენტის განვითარებაზე“ - დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა და საშტატო განრიგში შეტანილია ხარისხის მართვის მენეჯერის შტატი და 2019 წლის 1 ივნისის გაფორმებულია ხელშეკრულება N01/19 ხარისხის მართვის მენეჯერთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

ექსპერტების მიერ, ვიზიტამდე, გადამოწმდა დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია - საგანმანათლებლო პროგრამები, განაცხადი, ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროგრამების დამტკიცების აქტი, ხელშეკრულებები ბაზებთან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის, გადამოწმდა ასევე ვებ-გვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია - საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, მისია, სტრატეგიული გეგმა, კატალოგი.
ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, შეფასების სისტემა, პროფესიულ სტუდენტთა რეესტრი, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის ქეისები, სამოქმედო გეგმები და მათი ანგარიში, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულებები და სხვა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გადამოწმდა დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების A, B და C გარემო, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები და სხვა.

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები..

მოხდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პირებთან, პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯერება.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

*დანართი №2*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი ეხება დაწესებულების მიერ დამატებაზე წარმოდგენილ ხუთივე -„აღმზრდელის“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის“, „საოფისე საქმის“, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „საექთნო საქმის“ - საგანმანათლებლო პროგრამას

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და | **მუხლი 7 /** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **პუნქტი ვ)** | | |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ---------- ----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

1. შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, პარტნიორი დაწესებულებებისათვის უსასყიდლოდ ატარებს ტრენინგებს პირველად გადაუდებელ დახმარებაში.
2. ტრანსკრიპტი - პირისპირი ინტერვიუ პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან/პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (იგეგმება პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებითაც), რა დროსაც უფრო უკეთ არის გამოკვეთილი დაწესებულებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი პრობლემები, ვიდრე დამკვიდრებული კითხვარებით გამოკითხვის შემთხვევაში.

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

პროგრამების დამატების საკითხთან მიმართებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში იყო მცირე ტიპის სარეკომენდაციო საკითხები, თუმცა დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 2019-2020 წ.წ. სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელშიც პრიორიტეტულად იყო გაწერილი კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა არ ჩავთვალეთ საჭიროდ რეკომენდაციის გაცემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

## VII. დაწესებულების მისია

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა, მაღალხარისხიანი, მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება პროფესიული მიმართულებებით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს, თანაბარ, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოსა და საჯაროობას. ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების თვითგანვითარებას, პროფესიონალურ და მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებას. ზრუნავს დაინტერესებულ პირთათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პირობების შესაქმნელად, პროფესიული განათლების მიღების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების და შემდგომში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

## სტანდარტების შეფასება

# 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის N182 გადაწყვეტილებით შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს მიენიჭა ავტორიზაცია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, კერძოდ:

- ✓ პრაქტიკოსი ექთანი
- ✓ ფარმაცია (სააფთიაქო)
- ✓ საფინანსო სერვსები

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 108-ით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ---------- ----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

რეესტრის მონაცემებით მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობს 62 პროფესიული სტუდენტი, მ.შ. - პრაქტიკოსი ექთანი (მილევადი) - 24; ფარმაცია - (სააფთიაქო)- 18; საფინანსო სერვისები-20.

დაწესებულებას სურვილი აქვს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები:

- „აღმზრდელი“
- „ბუღალტრული აღრიცხვა“
- „საექთნო საქმე“
- „საოფისე საქმე“
- „ინფორმაციის ტექნოლოგია“

ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

**დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შემდეგი გარემოებები:**

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ 2019 წლის 20 ივლისის N 36 ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების დადგენილი პროცედურა.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / BasicVocational Qualification in Information Technology Support -სფეროს კოდი 0612;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 60 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 75 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 11 თვე; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 14 თვე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმა გაწერილია მოდულების შესწავლის პირობების დაცვით და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.
დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება

1. შპს ,,მბს მულტიმედია და ბიზნეს სისტემები“- ხელშეკრულება 13-19; 05.07.19 წ. (6 წლის ვადით)

ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ პრაქტიკის ობიექტს შეუძლია 12 პროფესიული სტუდენტის მომსახურება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტაა 12 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და ასევე, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“.

დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული აქვს დაწესებულების მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტის გამტარიანობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნულ სპეციალობაზე მზარდი მოთხოვა, რაც დასტურდება დასაქმების კერძო სააგენტოს -hr.ge-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი ვაკანსიებით, ასევე რეკრუტინგული კომპანია „ინსორსის" 2018 წლის დასაქმების ბაზრის ანალიზის (იანვარი-აპრილი) შესაბამისად, სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით გამოცხადდა 138 ვაკანსია, დასაქმების შესაძლებლობა როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ, თვითდასაქმების შესაძლებლობა და ასევე გათვალისწინებულია რომ პროფესიულ განათლებაში ძალიან ცოტა დარჩა საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დაშვების წინაპირობას საბაზო განათლება წარმოადგენს და შესაბამისად, ეს არის ერთგვარი აქტუალური ნიშა ცხრაკლას დამთავრებულთათვის. მომართვიანობა ამ მიმართულებით.
პროგრამის შერჩევისას გათვალისწინებულია ასევე ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მოკლევადიან კურსების ჩამონათვალში ყოველთვის არის აღნიშნული მიმართულება, რაც ასევე მოტივაციაა კერძო კოლეჯისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

**საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე"**

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - საექთნო განათლება / Nursing ( სარეგისტრაციო ნომერი - 09109 - პ -ს) საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან- სფეროს კოდი 0913)
ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი-კოდი 090354)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: სახელწოდება, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე. პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი. ასევე, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების სპეციფიკა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია.

**პროგრამის საექთნო საქმე** მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს (მათ შორის ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი, თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი, თეორიული სწავლება საექთნო საქმე- 45 კრედიტი, თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი, პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი, კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი), სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 32 სასწავლო თვე. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის მოდულების (30კრ.) დამატებით - 210 კრედიტი, სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 38 სასწავლო თვე.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა.
პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამედიცინო დაწესებულებებთან:

1. **შპს ,, დავით გაგუას კლინიკა** - (N 04 – 19. 10.06.2019 წელი, 6 წლის ვადით)
   1) კლინიკური პრაქტიკა- სამეანო დაგინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
   2) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
   3) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ---------- ----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

4) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები

2. **კლინიკა ,, ნიუ ჰოსპიტალსი“** (N 08 – 19. 18.06.2019 წელი, 6 წლის ვადით) **50** პროფ.სტუდენტი
   1) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები
   2) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
   3) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   4) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   5) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   6) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   7) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   8) შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   9) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
   10) შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
3. **შპს ,, პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“** (N 07– 19. 17.06.2019 წელი, 6 წლის ვადით) **50** პროფ.სტუდენტი
   1) კლინიკური პრაქტიკა- სამეანო დაგინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
   2) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
   3) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
   4) შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
4. **შპს ,, წმინდა მიქაელ მთავარ ანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“** (N 10 – 19. 20.06.2019 წელი, 6 წლის ვადით) **60** პროფ.სტუდენტი
   1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   2) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   4) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   6) შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

8) შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

5. **კლინიკა შპს ,,ვივამედი“** (N 09 – 19. 20.06.2019 წელი, 6 წლის ვადით) **50** პროფ.სტუდენტი
   1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   2) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
   3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   4) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
   5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   6) შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
   7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
   8) შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. **ა (ა) იპ ,, საქართველოს კარიტასი“** (HD1 – 11- 2019. 17.06.2019 წელი 2026 წლის 1 იანვრამდე) **50** პროფ.სტუდენტი
   1) ავადმყოფის მოვლა;
   2) შინმოვლა;
   3) გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები;
7. **შპს ,,N 5 კლინიკური საავადმყოფო“**(N 05 – 19. 16.06.2019 წელი, 6 წლის ვადით) **50** პროფ.სტუდენტი
   1) კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
   2) ფსიქიატრია და შემაჯამაებელი პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
8. **ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი-ხელშეკრულება** 10-1-19 (11-19)( (02.07.19) **30** პროფ.სტუდენტი;
   1) ავადმყოფის მოვლა;
   2) შინმოვლა;
   3) გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები.
9. **შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"** ხელშეკრულება11-19(17-19) (17.07.19) შეთანხმება(12.09.19); **50** პროფ.სტუდენტი
   1) კლინიკური პრაქტიკა გადაუდებელი პაციენტის საქთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა გადაუდებელი პაციენტის საქთნო მართვა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

2) კლინიკური პრაქტიკა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საქთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საქთნო მართვა;

ვიზიტის დროს დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ხელშეკრულებების დანართი, სადაც მითითებულია, რომ პრაქტიკის ობიექტები მზაობას გამოთქვავენ მიიღონ 60 პროფესიული სტუდენტი.

კლინიკურ ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასახავს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს პრაქტიკის ობიექტების მიმართ. ხელშეკრულებებში გაწერილია ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება მოვალეობების რეგულირების მექანიზმის აღწერა, დამატებითი მოთხოვნები, პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები, სამართლებრივი საფუძვლები ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია საგანმანმანათლებლო პროგრამა. ანგარიშგების/ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის უფლებამოსილება. ხელშეკრულებებში გაწერილია ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები. ყველა ხელშეკრულებაში ჩაწერილია დამატებითი მოთხოვნა - კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 1/7 , გარდა ამისა ასახულია პირადი დაცვის საშუალებებით პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა.

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და ასევე, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე - „საექთნო საქმე“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“.

დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული აქვს დაწესებულების მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტის გამტარიანობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა საქართველოს შრომის ბაზარზე ექთნის პროფესიაზე არსებობს მოთხოვნა სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, კერძოდ, სოლიდარობის ქსელის მიერ ჩატარებული კვლევა „ექთნების შრომის პირობები საქართველოში" (2019); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროფესიათა რეიტინგის კვლევა, სადაც საექთნო საქმის პროფესიონალები მზარდი პროფესიების ჩამონათვალშია მითითებული; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა, ჯანდაცვის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, კოლეჯში აღნიშნული სპეციალობის განათლების მიღების მსურველთა მომართვიანობის ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა"**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting. სფეროს კოდი 0411
პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 99 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვი: 129 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 19 თვე, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 25 თვე. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 16 პროფესიულ მოდულს (88 კრედიტის მოცულობით). პროგრამაში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები,

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, პროგრამის შემუშავება, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველი. დანართების სახით- პროგრამის განხორციელების სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვან სტუდენტებისათვის, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი,პროგრამის შემადგენელი მოდულები, მათ შორის ქართული ენის (A2, B1) მოდულები, ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ.

**პროგრამის მოდულები ადაპტირებულია** წესების დაცვით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ბუღალტრული აღრიცხვა" ახლავს **სასწავლო გეგმები** ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო გეგმაში დაცულია წინაპირობები და ერთ კვირიანი შუალედი წინაპირობიანი მოდულის დაწყებასა და იმ მოდულის დასრულებას შორის, რომელიც წარმოადგენს წინაპირობას. ისე, რომ შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს გარკვეული პერიოდი შედეგის განმეორებით დასადასტურებლად. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულებას გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში, სასწავლო ექსკურსიის განსახორციელებლად, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. შპს ,,ბუღალტერთა მომზადების ცენტრი" - ხელშეკრულება№ 16-19. 15.07.2019 წ. მოქმედების ვადა 6 წელი (20 პროფესიულ სტუდენტზე);
2. შპს ,,აუდიტ - ლოჯიქ" - ხელშეკრულება N15-19; 05.07.2019 წ . მოქმედების ვადა 6 წელი (12 პროფესიულ სტუდენტზე).

ხელშეკრულებებში გაწერილია პროგრამისა და მოდულის დასახელება, სტუდენტების რაოდენობა, ხელშეკრულების პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფ. საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის" განხორციელების **მიზანშეწონილობის** ანალიზის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის საფუძვლად მიიჩნევს საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს კვლევებს, 2018-2019 წლებში დასაქმების კერძო სააგენტოს - hr.ge-ის მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების

ანალიზს,საკონსულტაციო და რეკრუტინგული კომპანია „ინსორსის“ 2018 წლის დასაქმების ბაზრის ანალიზს მოთხოვნადი პროფესიების შესახებ. ასევე იმ ფაქტს, რომ დაწესებულება მის ხელთ არსებული ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების რესურსების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების გამოშვებას ბუღალტერიის მიმართულებით.

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და ასევე, „პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამაზე - „ბუღალტრული აღრიცხვა“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“.

დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული აქვს დაწესებულების მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტის გამტარიანობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. (სპეციალიზაციის კოდი 030255).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა კრედიტებსა

და საათებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, სწავლის ხანგრძლივობა 21 თვე. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, ხოლო სპეციალიზაციის/ პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია, სწავლის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება

1. შპს „მარმალეიდთან“ – საბავშვო ბაღი „ნევერლენდი“ (ხელშეკრულება N 12–19 05.07.2019წ. 6 წელის ვადით)

ხელშეკრულების თანახმად შპს „მარმალეიდი“ იღებს ვალდებულებას პრაქტიკით უზრუნველყოს 20 პროფესიული სტუდენტი საბავშვო ბაღ „ნევერლენდში“ ორ მისამართზე, ქ. თბილისი ზოვრეთის ქუჩა #20 და ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი #49 .

შპს მრავალპროფიალიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი“ „მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“, სადაც აღნიშნულია, რომ ამ პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი გარემო (A და B). A გარემო (N6 აუდიტორია) წარმოადგენს 36.14 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახს და B გარემო (N5 აუდიტორია) 34.21 კვადრატული მეტრი ფართის სივრცეს, აღნიშნულ აუდიტორიებში განთავსდება 20 პროფესიული სტუდენტი, რომლის მიღებასაც დაწესებულება აპირებს ერთ ცვლაში.

დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული აქვს დაწესებულების მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტის გამტარიანობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“ სადაც Unicef -ის კვლევზე დაყრდნობით რომელიც მოპოვებულია 57 მუნიციპალიტეტიდან, ძირითადად საუბარია, მასზედ, რომ ბაგა–ბაღებში დასაქმებულია არაკვალიფიციური კადრი, რომელთა გადამზადების საუკეთესო საშუალებაც იქნებოდა ეს პროფესიული პროგრამა.

პროგრამის მიზანშეწონილობაში, ასევე წარმოდგენილია ქ. თბილისის ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოს ყოფილი დირექტორის მოსაზრება მასზედ, რომ 2020 წლისათვის ბაგა–ბაღებში კვალიფიციური აღმზრდელ–პედაგოგების დამატება იქნება საჭირო, ვინაიდან შემცირდება ჯგუფებში გადატვირთული ბავშვთა რაოდენობა, ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს ახალი ჯგუფების შექმნის აუცილებლობას, შესაბამისად საჭირო გახდება დამატებითი კადრი.
დაწესებულებას მიაჩნია, რომ სწორედ ამ მდგომარეობის ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია აღმზრდელის პროფესიული პროგრამა და საკმაოდ დიდია აპლიკანტთა ინტერესი.

კოლეჯში ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან. უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ბაღს გააჩნია დამოუკიდებელი შენობა რამდენიმე მისამართზე, სადაც განთავსებულია აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფი და ასევე „ნევერლენდის“ ყველა ფილიალი დაკომპლექტებულია საბავშვო ბაგა-ბაღში ყველა საჭირო

(კვალიფიციური/გამოცდილი) კადრით, გასაუბრების შედეგად დადგინდა აღნიშნული ობიექტის მზაობა სტუდენტების მიღებისათვის.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“**

პროგრამა შემუშავებულია საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება / Office Work and Event Management, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.(სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work. კოდი 0415.

მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია დანართები (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ,ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ, სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული).

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ გათვალისწინებულია წინმსწრები მოდულის სწავლების შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა.
პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 59 კრედიტს - 5 ზოგად მოდულს (15 კრედიტის მოცულობით), 15 პროფესიულ მოდულს (44 კრედიტის მოცულობით). პროგრამის სავარაუდო ხანგრლივობა 11 თვე. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 89 კრედიტს. მ.ს. ზოგად მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 45, პროფესიულ მოდულების 44 კრედიტი. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლვობაა 17 თვე.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, კერძოდ:

1. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი, (ხელშ.N14-19; 05.07.2019წ. 6 წლის ვადით)12 სტუდენტზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

2. სს „ქართული ფილმი“(ხელშ. N01; 12.08.2019 ) 12 სტუდენტზე;

პრაქტიკის განხორციელების პროცესში ჩართულია პრაქტიკის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პირი, ხოლო პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ინსტრუქტორი. ხელშეკრულებას ახლავს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ის განათლების/სამუშაო გამოცდილების დმადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმის“ განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის საფუძვლად მიიჩნევს კურდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს, დასაქმების საიტებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზს, მზარდ მიმართვიანობას აღნიშნული მიმართულებით და იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მოკლევადიან კურსების ჩამონათვალში ყოველთვის არის აღნიშნული მიმართულება, რაც ასევე მოტივაციაა კერძო კოლეჯისათვის.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და ასევე, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „საოფისე საქმე“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“.

დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული აქვს დაწესებულების მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტის გამტარიანობა.

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საოფისე საქმე“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 12 პროფესიულ სტუდენტს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით დათვალიერებული იქნა პრაქტიკის სამი ობიექტი, შედგა გასაუბრება მათ წარმომადგენლებთან, კერძოდ:

1. სს ქართული ფილმი - საოფისე საქმე;
2. ა (ა) იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი );
3. კლინიკა შპს ვივამედი

ობიექტების დათვალიერებისას, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული პრაქტიკის ობიექტები მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯთან და უზრუნველყონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს განსაზღვრული აქვს სტუდენტის მიღწევების შეფასება და შეფასების გასაჩივრება. (კოლეჯის დებულების „მუხლი 39. სტუდენტის მიღწევების შეფასება და შეფასების გასაჩივრება“).

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულება (დამტკ. დირექტორის 2019 წლის 01 ივნისის ბრძ. №29 );
- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტით;
- საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ხელშკრულებებით და მემორანდუმებით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედის ვებ-გვედზე http://www.imediprof.edu.ge განთავსებულია პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამების 2019-2020 წ.წ. კატალოგი, რომელიც დაწესებულებაშიც არსებობს ასევე მატერიალური სახით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს კოლეჯის დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციას, მისიას, ხედვას, ღირებულებებს, ასევე ინფორმაციას პარტნიორი ორგანიზაციების, სწავლის შედეგების მიღწევის და კრედიტების მინიჭების, „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სასერთიფიკატო პროგრამების შესახებ. ასევე, ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას და ანონსი დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პროფესიული მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე წინა წლების კატალოგები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის კატალოგით;
- შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედის ვებ-გვედზე http://www.imediprof.edu.ge განთავსებული პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამების 2019-2020 წ.წ. კატალოგით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. „ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „იფორმაციის ტექნოლოგია" დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 31.01.2019 წ. ბრძ.N 80/ი (დანართი 22).

2. „საექთნო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „საექთნო განათლება" დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16.04.2019 წ. ბრძ.N 274/ი (დანართი 1).

3. „აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „აღმზრდელი" დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 12.12.2017 წ. ბრძ.N 192/ნ .

4. „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო

სტანდარტს) „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 31.01.2019 წ. ბრძ.N 80/ი (დანართი 12).

5. „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზება“ დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 31.01.2019 წ. ბრძ.N 80/ი (დანართი 10).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით/სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს „დებულებით“ (დამტკ. 01.06.2019 წ. ბრძ. №29) შემუშავებული აქვს ჩარიცხვის პროცედურა (მუხლი 29), პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების და უფლებების, ვალდებულებების (მუხლი 30), პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და სტატუსის აღდგენის (მუხლი 32), პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (მუხლი 34), პროფესიული სტუდენტის მობილობის (მუხლი 35), ასევე მიღებული ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების (მუხლი 36) პროცედურები.

გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურა და საგანმანათლებლო რეესტრი, დაწესებულებას არ განუხორციელებია მობილობა და განათლების აღიარება, გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა („დებულება“ დამტკ. 01.06.2019 წ. ბრძ. №29 მუხლი 33).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

შერჩევით გადამოწმდა არასრულწლოვან და სრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, პორტფოლიოებში განთავსებული იყო ყველა დოკუმენტი, პროფესიულ სტუდენტებთან (არასრულწლოვნის შემთხვევაში მის წარმომადგენელთან) ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების სრული საფასური, გადახდის პირობები, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, დაწესებულების უფლება-მოვალეობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 01.06.2019 წ. ბრძ. №29 დამტკიცებული „დებულებით“;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
შპს მრავალპროფილურ საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს „ დებულებით“ (დამტკ. 01.06.2019 წ. ბრძ. №29; მუხლი 24) შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/ გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმად:
„24.1. დამდგარი ან მოსალოდნელი ობიექტური გარემოების დროს, რომელიც იწვევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას ან გაუქმებას, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე დადასტურებული შედეგების აღიარებით),

ან დაასრულებინოს სწავლა იმ პროგრამით, რომელზედაც ჩარიცხულია ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას;

2. მობილობის უზრუნველსაყოფად კოლეჯი აფორმებს თანამშრომლობის მემორანდუმებს/ ხელშეკრულებებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების მობილობის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ გავლილი პროგრამის მოდულების/პროგრამის ფარგლებში დადასტურებული შედეგების /კრედიტების აღიარებით;“

რისთვისაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები

- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან (N21-19; 12.06.2018წ).
- შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთან (N20-18; 1.08.2018)
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიასთან-SBA (N24-18)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 01.06.2019 წ. ბრძ. №29 დამტკიცებული „დებულებით“;
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან (N21-19) გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით;
- შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთან (N20-18; 1.08.2018) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიასთან-SBA (N24-18) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და მის შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
დაწესებულებას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი.
კოლეჯის „დებულებით" (დამტკ.01.06.2019 წ. ბრძ. №29; თავი VII) გაწერილია „დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-დააკვირდი, შეაფასე-განახორციელე ცვლილებები" ციკლს. კოლეჯი ახდენს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის, პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების, კუსდამთავრებულების, პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვის, ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის მონიტორინგის, გარე ფაქტორების კვლევის, კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებაში ჩართვის, კოლეჯის შიდა შეფასების შედეგების გამოყენებას.

დასამატებელი პროგრამების ფარგლებში წარმოდგენილი იყო პროგრამის დამატებისა და ინიცირების პროცედურის დოკუმენტაცია, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დირექტორთან წარდგენის, პროგრამის პროექტის დასკვნის შესაბამისობის, კვლევების საფუძველზე კვლევის ანალიზის დოკუმენტები, (ყველა პროგრამისთვის მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) ასევე, წარმოდგენილი იქნა პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით შედგენილი ოქმები.
კოლეჯში ფუნქციონირებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად ახდენს კოლეჯის შიდა შეფასებას. აღნიშნულის დასადასტურებლად კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იყო: ხარისხის მართვის მენეჯერის შესასრულებელი ივნის-ოქტომბრის სამოქმედო გეგმა; საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმა, ტრანსკრიპტი-პირისპირი ინტერვიუ პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან/პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და მათი ანალიზი; სტუდენტთა შეფასების კითხვარიების (ზოგადი) ანალიზი, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის ფორმების ნიმუშები, დაწესებულების მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ავტორიზაციის ახალი

სტანდარტების, დებულების, შინაგანაწესის, თანამდებობრივი ინსტრუქციის, კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუქციების გაცნობა-განხილვის დასწრების ფურცლები. ასევე, სახარჯი მასალის გაცემის აღრიცხვის ჟურნალი და სახარჯი მასალა-ნედლეულის მიღება-ჩაბარების აქტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 01.06.2019 წ. ბრძ. №29 დამტკიცებული „დებულებით“;
- გამოკითხვის კითხვარებით და ანგარიშით;
- პროგრამის ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფის სხდომის ოქმებით;
- გაცნობა-განხილვის დასწრების ფურცლებით;
- სახარჯი მასალის გაცემის ჟურნალებით და მიღება-ჩაბარების აქტებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №12, კოლეჯი განთავსებულია აღნიშნულ მისამართზე, რომლის მესაკუთრეებია: სს „ოქსინო“.

კოლეჯი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს აღნიშნული შენობის მე-2 სართულის 650 კვ.მ ფართობს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. იჯარის ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ფართი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისთვის საჭირო აუდიტორიებს, ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეს, ბიბლიოთეკას და სამედიცინო სივრცეს. ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | საქართველო, ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №12 | 650 კვ.მ. |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;
- შენობის ვიზუალური დათვალიერებით;
- შენობის გეგმით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. კოლეჯს გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა განთავსებისათვის აუცილებელი აუდიტორიები, კომპიუტერები, რომელიც აღჭურვილი სასწავლო რესურსებით. აუდიტორიებში განთავსებულია სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი  მრავალფუნქციური პრინტერები, პროექტორი და ყველა ის ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის.

სასწავლო პროცესი ხორციელდება შენობის მეორე სართულზე.

საგანმანათლებლო პროგრამის  მოდულები განხორციელდება  კოლეჯის  A, B და C  სასწავლო გარემოში  და პრაქტიკის ობიექტებზე.

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“**

1. N 1 აუდიტორია  (A B  გარემო)-34.21 კვ.მ;

| **ინფორმაციის ტექნოლოგია** | | | |
|---|---|---|---|
| A B გარემო | აუდ. №1 | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | მაგიდა-ერთ ადგილიანი | 12 |
| | | სკამი | 22 |
| | | პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი | 12 |
| | | დაფა | 1 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |

გარემოში განთავსებულია პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო სიმულაციური სივრცე, აღჭურვილობით და მასალა ნედლეულით, ასევე ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები.

**2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“**

1. N 2 აუდიტორია - (AC გარემო)- 50,57კვ.მ;
2. N 3 აუდიტორია (AC გარემო)-51,75კვ.მ;
3. N 5 აუდიტორია - (B გარემო)-34,21 კვ.მ;

სასწავლო AC გარემო აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობითა და მასალებით, თემატური პლაკატებით, ნიმუშებით და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით :

| **საექთნო განათლება** | | | |
|---|---|---|---|
| AC გარემო | აუდ.2 | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | მაგიდა-ორ ადგილიანი | 12 |
| | | მაგიდა ოვალური 2 ადგილიანი | 1 |
| | | სკამი | 24 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |
| | | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის | 1 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | |
|---|---|---|---|
| AC გარემო | | განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | |
| | აუდ.3 | მაგიდა-ორ ადგილიანი | 6 |
| | | მაგიდა-სამ ადგილიანი | 3 |
| | | მაგიდა ოვალური 3 ადგილიანი | 1 |
| | | სკამი | 24 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |
| B გარემო | აუდ. № 5 | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი | 24 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | მაგიდა 3 ადგილიანი | 1 |
| | | მაგიდა 2 ადგილიანი | 9 |
| | | სკამი | 24 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი) | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |

**3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“**

1. N 5 აუდიტორია (B გარემო)-34,21 კვ.მ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ---------- ----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

2. N 6 აუდიტორია (A გარემო)-36.14 კვ.მ;

| აღმზრდელი | | | |
|---|---|---|---|
| A გარემო | აუდ. №6 | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | მაგიდა-2 ადგილიანი | 10 |
| | | სკამი; | 20 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |
| | | საოფისე საქმის აღჭურვილობისათვის კარადა/თაროები | |
| | | კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); | 1 |
| | | პროგრამისთვის განკუთვნილი ვიზუალური თვალსაჩინოებები | |
| B გარემო | აუდ. №5 | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი | 20 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | მაგიდა 3 ადგილიანი | 1 |
| | | მაგიდა 2 ადგილიანი | 9 |
| | | სკამი | 20 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის | 1 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | |
|---|---|---|---|
| | | განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | |
| | | კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი) | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |

**4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“**

1. N 5 აუდიტორია (A B გარემო)-34,21 კვ.მ;
2. N 2 აუდიტორია (A გარემო)-50.57კვ.მ;

| ბუღალტრული აღრიცხვა | | | |
|---|---|---|---|
| A გარემო | აუდ. №2 | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | მაგიდა-2 ადგილიანი | 12 |
| | | მაგიდა ოვალური 2 ადგილიანი | 1 |
| | | სკამი | 24 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |
| AB გარემო | აუდ. №5 | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი | 20 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | მაგიდა 3 ადგილიანი | 1 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მაგიდა 2 ადგილიანი | 9 |
| | | სკამი | 20 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი) | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |

აღნიშნული A B გარემოს ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა ორისი.

**5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“**

1. N 5 აუდიტორია (B გარემო) - 34,21 კვ.მ;
2. N 6 აუდიტორია (A გარემო) - 36.14 კვ.მ;

| **საოფისე საქმე** | | | |
|---|---|---|---|
| A გარემო | აუდ. №6 | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | მაგიდა-2 ადგილიანი | 10 |
| | | სკამი; | 20 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |
| | | საოფისე საქმის აღჭურვილობისათვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

| | | | |
|---|---|---|---|
| | | კარადა/თაროები | |
| | | კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი); | 1 |
| | | პროგრამისთვის განკუთვნილი ვიზუალური თვალსაჩინოებები | |
| B გარემო | აუდ. №5 | პროექტორი/ეკრანი | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი | 1 |
| | | პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი | 20 |
| | | ფლეშ-მეხსიერება | 1 |
| | | მაგიდა 3 ადგილიანი | 1 |
| | | მაგიდა 2 ადგილიანი | 9 |
| | | სკამი | 20 |
| | | დაფა | 1 |
| | | საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით | 1 |
| | | კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი) | 1 |
| | | ხმის აუდიო მოწყობილობა | |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვების დოკუმენტებით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი გარემო, სათანადო ბუნებრივი განათება, ელ. ენერგიის და წყლის მიწოდება ხდება უწყვეტად, დაწესებულება ყოველთვიურად უხდის დარიცხულ გადასახადს შენობის მესაკუთრეს: სს „ოქსინოს“.
კოლეჯში სველი წერტილები გამიჯნულია და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კოლეჯი ზამთრის სეზონზე გათბობისთვის იყენებს დახურულ ელექტროღუმელებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით და ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
ბიბლიოთეკის საქმიანობა ხორციელდება განსაზღვრული ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის დებულებით (დირექტორის 01.06.2019 წ. ბრძ. №29); „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. წესში გაწერილია: ბიბლიოთეკაში გაწევრიანება,

ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის პროცედურა, ბიბლიოთეკის სამუშაო დრო.

საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური პირი - ბიბლიოთეკარი, რომელსაც გავლილი აქვს ბიბლიოთეკართა და ინფორმაციის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ინტერნსიური კურსი.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ინტერნეტის ქსელში ჩართული 2 ლეპტოპით სტუდენტებისათვის და 1 ლეპტოპი ბიბლიოთეკარისათვის, 1 საოფისე კომბაინით (მრავალფუნქციური პრინტერი) და ფერადი პრინტერით. ბიბლიოთეკა გამოიყენება, როგორც სამკითხველო დარბაზიც, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2 სამადგილიანი მაგიდა, 2 მაგიდის სანათი.

საბიბლიოთეკო ფონდი შეადგენს 2278 ერთეულს და აღრიცხულია როგორც საინვენტარო წიგნში (წიგნი დანომრილია, აკინძულია და ბეჭედდასმულია), ისე ელექტრონულ საძიებო სისტემაში (OPEN BIBLIO). სისტემა განთავსებულია სასწავლებლის ვებ გვერდზე, რაც იძლევა პროფესიული სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის თავისუფალი წვდომის საშუალებას.

პროგრამების მოდულების მიხედვით შერჩევით შემოწმდა ლიტერატურის სია, დადასტურდა მითითებული ლიტერატურის, ბეჭდური ან ელექტრონული სახით, არსებობა ბიბლიოთეკაში. ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ფორმულარები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის დებულებით (დირექტორის 01.06.2019 წ. ბრძ. №29)
- საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“;
- საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“;
- საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“;
- საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალრტული აღრიცხვა“;
- საგანმანათლებლო პროგრამა - „საოფისე საქმე“;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

- საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების პირადი საქმე;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

დღეისათვის აკადემიის მფლობელობაშია:

| | ტექნიკა | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1. | კომპიუტერი | 55 | 53 სასწავლო გარემოში<br>2 ადმინისტრაციის სარგებლობისთვის. |
| 2. | ნოუთბუქი | 10 | 11 სასწავლო გარემოში<br>2 ბიბლიოთეკაში<br>2 ადმინისტრაცია |
| 3. | საოფისე კომბაინი | 9 | 5 სასწავლო გარემოში,<br>2 ბიბლიოთეკაში (ერთი ფერადი, ერთი კომბაინი)<br>2 ადმინისტრაციის სარგებლობისთვის (ერთი ფერადი, ერთი კომბაინი) |
| 4. | პროექტორი და პროექტორის ეკრანი | 7 | |
| 5. | მონიტორი | 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

კოლეჯი უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, რისთვისაც 2018 წლის 26 მარტს (ხელშეკრულება №[redacted]) გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „მაგთიკომთან“. 2018 წლის 6 სექტემრის N46 ხელშეკრულებით, შპს „მაგთიკომი“ იღებს ვალდებულებას ჰოსტინგისა და დომენის მომსახურების გაწევის შესახებ. კოლეჯს აქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები: ვებ გვერდი - www.imediprof.edu.ge, ელექტრონული ფოსტა -collegeimedi@gmail.
საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად კოლეჯს ჰყავს IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურებას, კოლეჯის კომპიუტერული ქსელის დაგეგმარებას, გამართვას და ოპტიმალურ ფუნქციონირებას, საერთო კომპიუტერული ქსელის მართვას და სისტემატიურ განახლება-გაფართოებას მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარებას, კოლეჯის ელექტრონული ფოსტის სერვერის გამართულ მუშაობას და მასში ახალი მომხმარებლების რეგისტრაციას, საფოსტო ყუთების დაცვას და დარეზერვებას, კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდის მუდმივ ოპერატიულ განახლებას, ინფორმაციის განთავსებას, კომპიუტერული ტექნიკის ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღებას, დაწესებულების თანამშრომლების ტრენინგის ჩატარებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სწავლებისთვის (საჭიროების შემთხვევაში), პირთა პერსონალური მონაცემების დაცვას, კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის დებულებით (დირექტორის 01.06.2019 წ. ბრძ. №29)
- შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტებით, /ანგარიშ-ფაქტურები და სხვა საგადასახადო დოკუმენტაცია);
- ინტერნეტ-პროვაიდერთან და მომსახურების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედის დირექტორის 2019 წლის 1 ივნისის №29 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა. დაწესებულებაში არსებობს:

- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- ოქმების, აქტების რეგისტრაციის ჟურნალი;
- შემოსული დოკუმენტის რეგისტრაციის ჟურნალი;
- გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;
- პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- ადმინისტრაციის თანამშრომელთა/დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ პროგრამის განმახორციელებელი პირების ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- პარტნიორ ორგნიზაციებთან/პირებთან (პრაქტიკის ობიექტებთან) გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციის ჟურნალი;
- მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის - დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალი;
- სერტიფიკატების აღრიცხვის ჟურნალი;
- შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათები, მოხსენებითი ბარათები და ა.შ.) რეგისტრაციის ჟურნალი;
- არქივის ჟურნალი.

ჟურნალები ზონარგაყრილია და დამოწმებულია ბეჭდით, მათი სანდოობა და მთლიანობა უზრუნველყოფილია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 1 ივნისის №29 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით;
- აღრიცხვის ჟურნალებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დირექტორის 2019 წლის 01 ივნისის № 29 ბრძანებით დამტკიცებული შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯის დებულებით (მუხლი მე-14, მე-16 და მე-19) სრულად და მკაფიოდაა გაწერილი დაცვის სამსახურის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და კოლეჯში წესრიგის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები.
**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი**
წესრიგისა და უსაფრთხოების მართვის ადმინისტრირებისათვის შენობაში განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები. ვიდეოკონტროლის სისტემის მუშაობის მონიტორინგს უზრუნველყოფს დირექტორი და დაცვის თანამშრომელი;
**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა**
კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სათანადო წესით შედგენილი საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით/ცეცხლმაქრებით, რომელიც განთავსებულია სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილ ადგილებზე, ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია კოლეჯის შენობას აქვს დამატებითი საევაკუაციო გასასვლელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

ცეცხლაქრები ვარგისია გამოსაყენებლად, მოქმედების ვადაა 2020 წლის სექტემბერი.

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

დაწესებულებაში არსებობს სამედიცინო სივრცე. კოლეჯს ჰყავს დირექტორის მიერ დანიშნული ექთანი, რომელის კომპეტენცია დასტურდება დიპლომით, მას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია პირველადი სამედიცინო დახმარების ჩასატარებლად. ექთანი უფლებამოსილია კოლეჯის ადმინისტრაციას მოსთხოვოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო ინვენტარის შეძენა: წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, პირადი ჰიგიენის ნივთები და სხვა, აკონტროლოს მათი ხარისხი, შენახვა, და გაცემა. აღრიცხოს სპეციალურ ჟურნალში გახარჯული, დარჩენილი და ჩამოწერილი საშუალებები. აწარმოოს პირველადი დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალი. შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში გაუწიოს დაწესებულების ნებისმიერ პირს პირველადი გადაუდებელი დახმარება და უზრუნველყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები**

დაწესებულებას ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია:
უხელმძღვანელოს შენობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის პროცესს საგანგებო სიტუაციების დროს; დახმარება გაუწიოს შეუფერხებელი გადაადგილებისათვის დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტებს, სისტემატიურად შეამოწმოს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობა (ვიზუალური დათვალიერება კომპეტენციის ფარგლებში), ცეცხლმაქრი საშუალებების ვარგისიანობა; უზრუნველყოს კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა; უზრუნველყოს ვიდეოკონტროლის სისტემის მუშაობის მონიტორინგი; რეგულარულად შეამოწმოს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა; საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეატყობინოს თანამშრომლებს ევაკუაციის დაწყება, ჩართოს სპეციალური სახანძრო სიგნალი ან ჩართოს გაბმული ზარი; საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შეტყობინება საგანგებო სიტუაციების სამსახურში; საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯ იმედის დებულებით (დირექტორის 01.06.2019 წ. ბრძ. №29) მუხლი 14; 16; 19.
- დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ---------- ----------

- ხელშეკრულებით N [redacted]-სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის შესახებ;
- ნარჩენების გატანის ხელშეკრულებით- „სარისკო და არასარისკო ნარჩენების მიწოდება შპს ექსპრეს დიაგნოსტიკისათვის“ შემდგომი ინსენერაციისათვის“[redacted] (12.09.2019);
- შპს „პროფილაქტიკური ინფექციის ცენტრი“ განრიგი #[redacted] 12 სექტემბერი 2019 წ.;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2**.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლჯ იმედს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილი, არსებობს ლიფტიც, შესაძლებელია დერეფნებში გადადგილება და აუდიტორიებთან წვდომა. სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის რეგულაციები გაწერილია კოლეჯის დებულების მუხლი 40-ით, რომლის მე-10 პუნქტის თანახმად „კოლეჯის დაცვის თანამშრომელი საჭიროების შემთხვევაში ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულება, მუხლი 40. (დამტკ. დირექტორის 2019 წლის 01 ივნისის ბრძ. №29 );
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8.** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ვებ-გვერდი - *www.imediprof.edu.ge* ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონი, ვებ-გვერდს გააჩნია მიმოწერის ველი.

ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისია, მარეგულირებელი აქტები, სტრატეგიული გეგმა, სტრუქტურა (ორგანოგრამა), კატალოგი, განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და განხორციელებული აქტივობების, საგანმანათლებლო პროგრამების, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია.

მიმდინარეობს ვებ გვერდის რეგულარული განახლება. ბოლო ინფორმაცია განთავსებულია 2019 წლის 9 სექტემბერს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდით - *www.imediprof.edu.ge*
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტით- [redacted] [redacted] [redacted] ხელშეკრულება შპს „მაგთიკომთან“

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9.** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
შპს მრავალპროფილიან კოლეჯ იმედს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) (2018-2023 წწ.) და ერთწლიანი (2018-19 წლის) სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 02 მარტს N14 ბრძანებით. დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმა განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.
სტრატეგიულ გეგმაში (2018-2024წწ.) გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზანი, სტრატეგიული ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი/პოზიცია. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების ინფრასტრუქტურის განვითარებას.
სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ინფორმაციას: აქტივობების, განხორციელების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ.
დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა 2018-19 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მტკიცებულებების მითითებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- მისიით;
- სტრატეგიული გეგმით;
- სამოქმედო გეგმით;
- დირექტორის 2018 წლის 02 მარტს N14 ბრძანებით;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დირექტორის 2019 წლის 01 ივნისის ბრძ. №29 დამტკიცებულ შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით, დაწესებულების როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, ისე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პროფესიული მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება ან პრაქტიკული გამოცდილება.

**დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 01 ივნისის ბრძ. №29 დამტკიცებული შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით;
- პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი აქვს შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებაში (დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 1ივნისის N 29 ბრძანებით) თავი V მუხლი.27.3.
დებულების მიხედვით პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია უმაღლესი ან პროფესიული განათლება (საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მიმართულებით) ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

ამავე დებულების 27.4 მუხლის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის სამსახურში მიღების წესი, პირადი საქმის წარმოება და სხვა სამსახურებრივი ურთიერთობები რეგულირდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულების, დებულების, საქმისწარმოების წესის და კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დასამატებელი პროგრამების პროფესული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

**„ბუღალტრული აღრიცხვის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 20 პირის მიღება. პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 19 (12 დარგობრივი, 7 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.

**„საექთნო საქმის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 60 პირის მიღება. პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 36 (29 დარგობრივი, 7 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**„ინფორმაციის ტექნოლოგის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 12 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 15 (3 დარგობრივი, 12 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.

**„აღმზრდელის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 20 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 20 (12 დარგობრივი, 8 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.

**„საოფისე საქმის“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 12 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 16 (4 დარგობრივი, 12 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ მასწავლებლებთან. როგორც გასაუბრებამ აჩვენა, მასწავლებლები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში და მათ აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება.

პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;
- პროფესიულ პედაგოგებთან გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
ვიზიტის პერიოდში შესწავლილი იქნა სხვადასხვა პოზიციაზე კანდიდატების შერჩევისა და სამუშაოზე მიღების პროცედურები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და გაწერილია დირექტორის 2019 წლის 01 ივნისის № 29 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების შინაგანაწესის მუხლი 3-ით, რომლის მიხედვით კოლეჯის ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე. დირექტორის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კანდიდატთან იდება ხელშეკრულება ან გამოსაცდელი ვადით ან ფორმდება ბრძანება კანდიდატის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ და იდება შრომითი ხელშეკრულება.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დაწესებულებას არ ქონდა გაწერილი, აღნიშნული გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში და დირექტორის 2019 წ. 19 სექტემბრის N41 ბრძანებით გაიწერა პროფესიული მასწავლებლების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.
პირადი საქმეები დაკომპლექტებულია ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.
პროფესიული მასწავლებლების განცხადებებს, კოლეჯის საქმისწარმოების წესის თანახმად არ ჰქონდა რეზოლუცია, რაც გამოსწორდა და წარმოდგენი იქნა ვიზიტის პერიოდში.
პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების და შრომითი ხელშეკრულებები.
პროფესიულ მასწავლებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ არსებით პირობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 01 ივნისის № 29 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების შინაგანაწესით მუხლი 3;
- დირექტორის 2019 წ.19 სექტემბრის N41 ბრძანებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------
----------

*(ქ.თბილისი, 2019 წელი)*

- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411 | 99 | 129 | ქართული | ქ.თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. N12 | 0 | 20 |
| 2 | საექთნო საქმე | მეხუთე საფეხური/დონე | ა) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (2020 წლის 29 თებერვლამდე) 090354<br>ბ) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 | 180 | 210 | ქართული | ქ.თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. N12 | 0 | 60 |
| 3 | აღმზრდ | მეხუთე | მეხუთე საფეხურის |  | 146 | ქართული | ქ.თბილისი, |  |  |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ელი | საფეხურ ი | პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. 030255 | 116 | | | რიჩარდ ჰოლბრუკი ს ქ. N12 | 0 | 20 |
| 4 | საოფისე საქმე | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში. 0415 | 59 | 89 | ქართული | ქ.თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. N12 | 0 | 12 |
| 5 | ინფორმა ციის ტექნოლ ოგია | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 60 | 75 | ქართული | ქ.თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. N12 | 0 | 12 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

### დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

2.10.2019წ.

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------